

## გ. ჩაჩანიძე, ნ. ფალიანი

### შვეიცარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკური შესაძლებლობების გამოვლენის პოლიტიკური მოდელი რეზიუმე

დამუშავებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენის კონცეპტუალური მოდელი, რომელშიც ძირითადი ადგილი ეთმობა ქალაქებს პოტენციური შესაძლებლობების ელემენტების განხილვას. მოდელი საშუალებას იძლევა მივიღოთ პოტენციური შესაძლებლობების ვექტორული მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლების საფუძველზე შეიძლება გადაიჭრას ანალიზისა და სინთეზის ამოცანები, რომლებიც დაგვეხმარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური რეფორმირების ძირითადი მიმართულებების და მართვის სრულყოფის საქმეში; სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების ურთიერთშეფასებისა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაში; საინვესტიციო დისკიპლინის განმტკიცებაში, რაც შექმნის მყარ საინვესტიციო გარემოს და წარმართავს ინვესტიციურ პროცესებს სასურველი გზით.

**საგვანძო სიტყვები:** კონცეპტუალური მოდელი, ვექტორული მაჩვენებელი, ანალიზი, სინთეზი, ოპტიმალური გადაწყვეტილება, ინვესტიცია, მართვის პროცესები, ობიექტ-ორიენტირებული, სტრუქტურულ-ფუნქციური, დიდ სისტემათა თეორია, მიზნობრივი ფუნქცია, ლოგიკური მოდელი.

#### შესავალი

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ნებისმიერ ქვეყნაში სასურველი გზით ვერ წარიმართება ამ სფეროში არსებული მხოლოდ ცალკეული ამოცანების გადაჭრით. ეს პროცესი შედგება პრობლემათა მთლიანი ჯაჭვის ერთობლიობისგან, რომლის თითოეული რგოლი წარმოადგენს დასახული მიზნის მიღწევისათვის საჭირო, შემოქმედებითი საქმიანობის კონკრეტულ შედეგს. ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა ისეთ გარდამავლ პერიოდში, როგორმაც ჩვენ ვიმუშოვებით, წარმოუდგენელია იმ ინვესტიციური პროცესების გაძლიერების გარეშე, რომლებიც აღნიშნული ჯაჭვის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია. საბაზრო ეკონომიკის მეცნიერები, რომლის გამოცდილებაც ჩვენ, როგორც პოსტსოციალისტურ ქვეყანას, არ გაგვაჩნია, გვაიძულებს ინვესტიციური პროცესი განვახორციელოთ ნებისმიერი გზით, თუნდაც დროებითი დათმობის სარჯზეც და ზოგ შემთხვევაში, ინვესტორების სასარგებლოთაც კი. მთავარია, საწყის ეტაპზე მოვიზიდოთ ინვესტორები და მივადწიოთ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას, რაც გვიძიდებს, მეცნიერული და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ახალი მეთოდები ვეძიოთ, საინვესტიციო დისკიპლინის განმტკიცებისათვის.

#### ძირითადი ნაწილი

საინგენიერიული გარემოს შექმნისათვის პირველ რიგში საჭიროა, ქვეყნის კონცეპტუალური, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის დამუშავება. ასეთი მოდელის შესაქმნელად მრავალი ფაქტორის გათვალისწინება მოვალეობა, რომელთაგანაც ძირითადი პრიორიტეტი ენთება ქვეყნის პოტენციურ შესაძლებლობებს [1]. ქვეყნის პოტენციური შესაძლებლობების განსაზღვრა მარტივი არ არის, რადგან იგი უამრავ კომპიუტერულ მოიცავს, მაგრამ ძირითადი ფაქტორები აუკიცილებლად უნდა იყოს გამოვლენილი, რათა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სასურველ დონეს მივადწიოთ. ამოცანაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, სანამ ქვეყნის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის დამუშავებას შევუდგეთ, უნდა განისაზღვროს ის ძირითადი მასასიათებლები, რომლებიც ემორჩილება მმართველ ზემოქმედებას, მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მინიმალურად შეამცირებს ინვესტორთა მოზიდვის რისკ-ფაქტორებს.

ცხადია, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ერთიანი პროცესია და პირდაპირ მიმართებაშია ქვეყნის ცალკეული ქალაქების (რაიონების, სოფლების), როგორც შემადგენელი რგოლების, ფუნქციონირების მართვის პროცესების სრულყოფასთან. მართვის პროცესების განხორციელება ნებისმიერ დონეზე, ეს იქნება ტერიტორიული, დარგობრივი თუ დარგთაშორისი, არა მარტივი ითვალისწინებს რეგიონის, მხარის თუ ქალაქის ინტერესებს, არამედ მთლიანად მოიცავს ქვეყნის სახალხო-სამეცნიერო, თუ სოციალურ-პოლიტიკურ ინტერესებს [1]. ამის გათვალისწინებით, ქვეყნის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენის გამოკვლევებში უურადღება უნდა გამახვილდეს სწორედ ამ ფაქტორებზე, როგორც ობიექტ-ორიენტირებულ და სტრუქტურულ-ფუნქციურ ერთეულებზე. გამოკვლევების ანალიზი უნდა ეყრდნობოდეს ანალიზირებისა და ინტერვიუების ექსპერტულ შეჯასებებს, საწყისი მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შედეგებს. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს მართვის იერარქია და გამოვლინდეს მათ შორის პორიზონტალური კავშირები, რაც

ფაქტობრივად წარმოადგენს სისტემური ანალიზისა და დიდ სისტემათა თეორიის ძირითადი კომპონენტია.

გვიქრობთ, კონცეპტუალურ მოდელში ქვეყნის პოტენციურ შესაძლებლობათა რაციონალურად ასახვისათვის უნდა შედგეს პოტენციურ შესაძლებლობათა სისტემური კლასიფიცირება [2]. ჩვენ მიერ განხილული და გაანალიზებული ინფორმაციული მონაცემების საფუძველზე, ქვეყნის პოტენციურ შესაძლებლობათა კლასიფიცირება შემდეგნაირად გვაქვს წარმოდგენილი:

- **არაგანახლებადი რესურსების პოტენციალი** – ისეთი შესაძლებლობა, რომელიც დროთა განმავლობაში ამოიწურება და აღარ ემორჩილება აღდგენა-განახლებას; ასეთს შეიძლება მივაკუთვნოთ ქვეყნის მიწის რესურსი, სატრანსპორტო გამტარუნარიანობა და სხვ;
- **აღწარმოების პოტენციალი განახლებადი პოტენციალი** – მოსახლეობის გამრავლება, სატრანსპორტო საშუალებები, სათბობ-ენერგომომარაგების სისტემა და ა.შ.;
- **პოტენციალი, რომლის გამოყენებასაც მივაგართ რესურსების თვითაღწარმოების ზრდის კენზის რაც ადამიანის ინტელექტუალური შემოქმედების ნაკოფია, საზოგადოების განვითარების ძირითადი საფუძველია და ასახება მის კულტურაში, სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალში და ა.შ.;**
- **მოსალოდნელი საშიშროებისადმი (სტიქიური უბედურება, ეკოლოგიური კატასტროფები და სხვ) გაფრთხილებისა და მისი შეკავების პოტენციალი;**
- **ადამიანთა, მატერიალური, ენერგეტიკული, ინფორმაციული და სხვ. შესაძლო რესურსების არსებობის პოტენციალი,** მათი დინამიკა, სტრუქტურა და კავშირები, მათ შორის ლატენტურიც, რაც არ ემორჩილება მართვას, წარმოშობს ნებატიურ მოვლენებს და ერთგვარ საშიშროებას წარმოადგენს სიციუმის ცხოველმოქმედებისათვის.

კონცეპტუალური მოდელის შექმნისათვის დიდი სისტემების თეორიისა და სისტემური ანალიზის გამოყენება მოგვცემს მართვის ერთანი კონცეპტუალური მიდგომის საშუალებას, რათა გამოვავლინოთ ქვეყნის ძირითადი სისტემური მახასიათებლები, მოვახდინოთ მათი სტრუქტურიზება და დეკომოზიცია სირთულისა და სარგებლიანობის მიხედვით. ეს უკანასკნელი კი განსაზღვრავს სიციალურ-ეკონომიკური განვითარების იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს, რაც ხელსაყრელი იქნება ინვესტიციებისათვის და შექმნის პოტენციურ ინვესტორთა ერთგვარ ინტერესთა სფეროს.

უნდა ითქვას, რომ განვითარებულ ქვეყნებში დიდი კურადღება ეთმობა სიციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის სრულყოფის პრობლემებს. ამ მხრივ, უამრავი საინტერესო მეთოდოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევებია ჩატარებული. მეცნიერთა ჯგუფების მიერ დამუშავებული და შემოთვაზებულია მართვის მნიშვნელოვანი მეთოდები და რეკომენდაციები, რასაც ეს ქვეყნები წარმატებით იყენებენ და საუკეთესო შედეგებსაც აღწევენ. საქართველოში ასეთი კპლევები ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და რაიმე არსებითი შედეგი ჯერ არ დაფიქსირებულა. ამის დამადასტურებელია საქართველოს ქალაქებში შექმნილი მმიმე სიციალური და ეკონომიკური პირობები, ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, ეთნიკური კონფლიქტები, სეპარატისტული მოძრაობა და სხვ.

თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ საქართველო წარმოადგენს მსოფლიო ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგად დამკიდრებულ ქვეყნას. იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც მსოფლიოს სახელმწიფოთა სისტემაში შემავალი ტერიტორიული, სიციალურ-ეკონომიკური და სიციალურ-ეკოლოგიური სისტემა იმავე თანამდევი საუკიფებელი თვისებებითა და მიმდინარე პროცესებით, როთაც ხასიათდება ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ, განვახორციელოთ ისეთი მიზნობრივ-პროგრამული და პრობლემურ-ორიენტირებული პრევენცია, გამოვავლინოთ პრობლემათა ფორმირების მაჩვენებლები და დაფადგინოთ ქვეყნის მართვის სტრუქტურების ის ფაქტორები, რომლებიც ზოგადსაკაცობრიობო ჭრილში განიხილება.

როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის სიციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციური შესაძლებლებები გამომდინარების მისი ცალკეული ქალაქების (რაიონების, სოფლების), პოტენციური შესაძლებლობათა ერთობლიობიდან:

Pქვ. = Pქალ. U Pსოფ.

სადაც Pქვ. – ქვეყნის პოტენციური შესაძლებლობებია;

Pქალ. – ქალაქის პოტენციური შესაძლებლობები;

Pსოფ. – სოფლის პოტენციური შესაძლებლობები.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის, როგორც ქვეყნის უმთავრესი შემადგენელი ელემენტის, სიციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებს მოელ მსოფლიოში დიდი კურადღება ექცევა. ამ პრობლემებზე მუშაობენ როგორც ქალაქის მერები და სხვა მმართველი ორგანოები, ასევე პოლიტიკები და ფილოსოფოსები, სიციალოგები, ეკონომისტები, და მათემატიკოსები,

სხვადასხვა დარგის წარმომადგენელი სწავლული მეცნიერები, მწერლები და მხატვრები და ა.შ. „ქალაქი არის არა მხოლოდ „მოდური“ ობიექტი სამეცნიერო კვლევებისა და განსჯისათვის, არამედ წარმომადგენს კაცობრიობისა და საუკუნის უმთავრეს პრობლემას“ [3].

ცხადია, ქვეყნის პოტენციური შესაძლებლობების ზუსტი კონცეპტუალური მოდელის შექმნისათვის უნდა ვფლობდეთ ინფორმაციას ყველა ქალაქის (და სოფლის) პოტენციური შესაძლებლობების შესახებ, რითაც ქალაქი (სოფელი) ხასიათდება. ამის მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მოქმედებაში მოვიყვნოთ საინფორმაციო და მართვის ავტომატიზაციულ სისტემას, შევქმნით ინფორმატიზაციის სრულ კომპლექსს.

ქალაქის მართვის ავტომატიზაციული სისტემის შექმნის საწყისი ეტაპი ქალაქისა და მუნიციპალური მართვის ორგანოების ძირითადი ფუნქციისა და ინფრასტრუქტურის ანალიზი. ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და, რაც მთავარია, ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებები და მართვის სრულყოფის ასპექტები; კონკრეტული რიგი პრიორიტეტული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტის პრობლემაც პირველ რიგში დგას ქალაქის მთავრობის წინაშე ეკონომიკური რეფორმირების გატარების პროცესში [4].

ქალაქის პოტენციური შესაძლებლობების ანათვალი იწყება მისი გეოგრაფიული ადგილმდებარებიდან, რასაც მოჰყება განაშენების ფართობი, მცხოვრებთა რიცხვი, მოქალაქეთა ინტელექტუალური პოტენციალი, დემოგრაფია, დასაქმების დონე, არსებული საწარმოების და დაწესებულებები, კულტურულ-საგანმნათლებლო და სამეცნიერო კერძები და სხვ. პოტენციური შესაძლებლობების მოდელის შექმნის საწყის ეტაპს წარმოადგენს საქალაქო სისტემების ფორმალიზებული აღწერა და ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულ, ერთმანეთისაგან დაშორებულ, მაგრამ ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებულ ობიექტთა და მის შემადგენელ ელემენტთა მასასიათებლების დადგენას. ამათან, გარდა იმისა, რომ მართვის ობიექტად ამ შემთხვევაში გვევლინება ქალაქი, როგორც ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილ ქვესისტემათა ერთობლიობა, მას ემატება ადამიანთა კოლექტივი როგორც საწარმოო პროცესებთან დაკავშირებული, ასევე საყოფაცხოვრებო და სოციალური სფეროს ინტერესებით დაკავშირდი [3].

ობიექტის ფორმალიზებული აღწერა ითვალისწინებს ობიექტზე მიმდინარე პროცესების ადგენატური მათემატიკური მოდელის შექმნას, რაც ყოველთვის არ ხერხდება. ეს გამოწვეულია ობიექტის ელემენტთა ქვევის არამდგრადობით და, ზოგ შემთხვევაში განუსაზღვრელობითაც კი. აქედან გამომდინარე, ზოგჯერ საჭიროა კომპიუტორის გადაწყვეტილების მიღება, რაც შესაძლებელია მოდელში სისტემური ბლოკების ჩართვით, ეს კი იმიტაციას გაუკეთებს შექმნილ სიტუაციას რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად.

მოდელის აგების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნესისეთი ფაქტორებიც, რომლებიც თან სდევს ქალაქის მართვას. ესენია: უპარავშირები ტერიტორიაზე და სამართავ რგოლს შორის, ინფორმაციის შეგროვებისა და გადაცემის საიმედობა, ინერციულობა, ობიექტთა სტრუქტურიზების ხარისხი, რაც გარევეულწილად განსაზღვრავს კიდევ სისტემის ელემენტთა ქვევის მათემატიკური აღწერის ადგენატურობას.

მეცნიერთა აზრით, ქალაქის ობიექტთა ფორმალიზებული აღწერის ცნება ერთგვაროვანი არ არის და ერთმანეთისაგან განსხვავდება. მიუხედავად ამისა, იგი მოიცავს ერთნაირ სტანდარტულ ელემენტებს:

$$A = A_1 \cup A_2;$$

სადაც

A – არის ქალაქის პოტენციური შესაძლებლობა და იყოფა ორ ქვეჯგუფად:

A<sub>1</sub>- ინტელექტუალურ შესაძლებლობათა პოტენციალი;

A<sub>2</sub>- ბუნებრივ-ხელოვნური შესაძლებლობების პოტენციალი;

B - მომსახურება;

C - დემოგრაფია;

D - წარმოება.

იმისათვის, რომ შევქმნათ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნობრივი ფუნქციის სრული ლოგიკური მოდელი, გარდა ადნიშნული სტანდარტული ელემენტებისა, შემოვიჩანოთ მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მახასიათებელი ელემენტიც და იგი E - თი ადგიშნოთ.

ცხადია, ეს უკანასკნელი ასრულებს სასიცოცხლო როლს, რომლის გარეშეც ქალაქის არსებობა და განვითარება შეუძლებელია.

თავისთავად, მოქალაქეთა უფლებების დაცვის მახასიათებელი:

$$E = E_1 \cup E_2 \cup E_3,$$

სადაც E<sub>1</sub> სოციალური დაცვაა;

E<sub>2</sub>-ეგოლოგიური დაცვა;

E<sub>3</sub>-ყველა სხვა სახის (სამართლებრივი) უფლებების დაცვა.

ადამიანის სოციალური დაცვის სფერო ჩვენი ქალაქებისათვის თანდათან უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, საბაზო ეკონომიკური სიტუაციისა და მართვის ადაპტირებული სტრუქტურის ცვლილებასთან მიმართებაში.

ცხადია, ფორმალიზებული აღწერის მოდელში უნდა აისახოს სოციალური დახმარებების სრული და ზუსტი ინფორმაცია როგორც რაოდენობრივად, ასევე სახეობებისა და ხარისხის მიხდვით, რაც ერთგვარი დინამიკური პროცესია და პერიოდული აქტუალიზაციას საჭიროებს.

სამართლებრივი დაცვის ფუნქცია ეკისრება ძალოვან სტრუქტურებს და მოითხოვს მკაცრ საინფორმაციო-ანალიტიკურ გააზრებას. ეს პროცესი დღეისათვის ყველაზე სუსტი რგოლია ქვეყანაში და განპირობებულია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ფაქტორებით. ქალაქის მოსახლეობა უზრუნველყოფილ უნდა იქნესიურიდიული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომი საშუალებებით, რაც მოითხოვს მძლავრი ინფორმაციული ბაზის შექმნას, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემა უშუალოდაა მიმართული ადამიანის პირადული ინტერესების დაცვისას. იგი მრავალასპექტიანი და მრავალკომპლექსური ამოცანაა. გამოვლინდება სტიქიურ უბედურებებში, კატასტროფებში, სხვადასხვა დაგადებებში, დაკავშირებულია ეკონომიკასთან, ტრანსპორტის, ადამიანის მატერიალურ კეთილდღეობასთან, საწარმოო ტექნილოგიურ პროცესებთან. ამიტომ, ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საჭიროა სიტუაციის დროული შეფასება, პროგნოზირება და გადამწყვეტი ქმედებების განხორციელება. ეს პროცესი მართვას დაეჭვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის ფორმალიზებული აღწერის მოდელში იგი აღეკვატურად იქნება ასახული.

განხილულიდან გამომდინარე, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნობრივი ფუნქციის ზოგადი ლოგიკური მოდელი შეიძლება ასეთნაირად გამოვსახოთ [4]:

$$F = A \cup B \cup C \cup D \cup E,$$

სადაც F მიზნობრივი ფუნქციაა, U - ელემენტების ლოგიკური გაერთიანების სიმბოლო:

$$\begin{aligned} A &= A_1 \cup A_2, \quad A_1 = \bigcup_{i=1}^m a_i, \quad A_2 = \bigcup_{j=1}^n a_j; \\ B &= \bigcup_{k=1}^z b_k, \quad C = \bigcup_{r=1}^q c_r, \quad D = \bigcup_{\lambda=1}^e d_\lambda, \quad \lambda = \overline{1, e}. \end{aligned}$$

სადაც

**a<sub>11</sub>** სამეცნიერო პოტენციალია; **a<sub>12</sub>** - ტექნიკური პოტენციალი; **a<sub>13</sub>** - პულტურული პოტენციალი და ა.შ.;

**a<sub>21</sub>** ფინანსური პოტენციალია; **a<sub>22</sub>** - ტერიტორიული პოტენციალი; **a<sub>23</sub>** - პლიმატური პოტენციალი და ა.შ.;

b<sub>1</sub> მომსახურების სახეობაა; b<sub>2</sub> - მომსახურების მოცულობა; b<sub>3</sub> - მომსახურების მოთხოვნა და ა.შ.;

c<sub>1</sub> - შობადობა, c<sub>2</sub> - დემოგრაფიული შემადგენლობა, c<sub>3</sub> - კალიფიკაცია და ა. შ.;

d<sub>1</sub> - წარმოების ტიპი, d<sub>2</sub> - წარმოების სიმძლავრე, d<sub>3</sub> - წარმოების მოთხოვნები, და ა. შ.;

ასეთივე თანამიმდევრობით აღწერება რაონტებისა და სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნობრივი ფუნქციის ზოგადი ლოგიკური მოდელიც.

თუ გავითვალისწინებთ მიზნობრივი ფუნქციის ლოგიკურ მოდელში შემავალი წევრის E-ს აქტუალურობას, შეიძლება ვთქვათ, რომ მისი უარყოფის შემთხვევაში ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი წყდება და მართვის სფეროში იქნება ვაკუუმები, ანუ სიცარიელე:

$$(A \cup B \cup C \cup D) \cup \overline{E} = \overline{F} = \emptyset.$$

მოცემული სახის მიზნობრივი ფუნქციის დაკონკრეტებისათვის საჭიროა მასში შემავალი ტიპური ელემენტების მათემატიკური აღწერა და შესაბამისი კონცეპტუალური მოდელის შედგენა, რაც შესაძლებელია დიდი სისტემების თეორიის გამოყენებით.

ცხადია, უნდა განისაზღვროს აღსაწერის ობიექტის ელემენტთა სიმრავლე, რომელთაგან თითოეული შეიძლება ხასიათდებოდეს საწარმოო მაჩვენებლებით, ბუნებრივი რესურსებით, გეოგრაფიული კოორდინატებით, დანიშნულებით და ა. შ. რაც ამ ელემენტის ვაქტორული მახასიათებელი იქნება. ამგვარი აღწერის შედეგად მივიღებთ შემდგენ ვექტორთა სიმრავლეს,

რომელთაგანაც, თითოეული გვიჩვენებს ქალაქის და შემდგომ კი, ქვეყნის პოტენციურ შესაძლებლობათა ნათელ სურათს.

**დასკვნა**

დამუშავებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენის კონცეპტუალური მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ პოტენციური შესაძლებლობების ვებტორული მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლების საფუძველზე შეიძლება გადაიტრას ანალიზისა და სისტემის ამოცანები, რომლებიც დაგვეხმარება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების ურთიერთშევასებისა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაში, ინვესტიციური პროცესების სასურველი გზით წარმართვაში.

**ლიტერატურა**

1. Юсупов Р.М. Научно-методические основы информатизации. Санкт-Петербург: Наука, 2000.
2. Боголюбов В. С. Особенности потенциалов крупного города// Тез. докл. з-и международ. конф. – Мин-во общего и проф. образ. рф, СПГТУ, АИРФ – СП, 1998.
3. Ковалевский С.С., Кульба В.В. Проблемы разработки средств информационной поддержки органов управления крупными городами. [www.compuelug.ru](http://www.compuelug.ru). 2002.
4. ჩახანიძე გ., ფალიაბი ბ. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი ლოგიკური მოდელი// ქურნალი „ობტენები“, N 1(15), 2003.

**Г. Чачанидзе, Н. Палиани**

**КОНЦЕПТУАЛЬНАЯ МОДЕЛЬ ВЫЯВЛЕНИЯ ПОТЕНЦИАЛЬНЫХ ВОЗМОЖНОСТЕЙ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ СТРАНЫ.**

**Резюме**

Разработана концептуальная модель выявления потенциальных возможностей социально-экономического развития страны, в которой основное внимание уделяется рассмотрению элементов потенциальных возможностей городов. Модель дает возможность получать векторные показатели потенциальных возможностей. С помощью этих показателей можно решать задачу анализа и синтеза, что поможет в деле социально-экономического развития страны, в проведении экономического реформирования и в совершенствовании управления, в оценке различных экономических характеристик и принятии оптимальных решений, в подкреплении инвестиционной дисциплины для проведения инвестиционных процессов в целевом направлении.

**G. Chachanidze, N. Paliani  
CONCEPTUAL MODEL OF REVEALING POTENTIAL ABILITIES OF  
SOCIAL-ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY**

**Summary**

Conceptual model of revealing potential abilities of social-economic development of the country mainly focuses on defining and discussing the elements of the city's potential abilities. The model enables us to get vector data of potential abilities. On the basis of these data we can resolve the issues of analysis and synthesis which will contribute a lot to the country's social-economic development, essential branches of economic reforms and its management; to the evaluation of different social-economic features and to get the right optimal discussion; to confine strict investing discipline creating solid background and space for the investment directing investing processes in the way desirable.

**Key words:** conceptual model, vector data, analysis, synthesis, optimal decision, investment, management processes, object-oriented, structural-functional, the theory of huge systems, aimed function, logical model.